



MEDICINE OF THE  
NEW MILLENNIUM



## "თბილისი - 2017"

საქართველოს ექიმთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია:

**"მედიცინის უახლესი მიღწევები და ტექნოლოგიები-მომავალი თაობების ჯანმრთელობისთვის" &**

იან დონალდის სახელობის საერთაშორისო საუნივერსიტეტო სკოლის მე-4 სკოლა-კონფერენცია :

**"უახლესი მიღწევები სამეანო და გინეკოლოგიურ ულტრასონოგრაფიაში"**

**ორგანიზატორები:**

- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რეპროდუქციული ჯანმრთელობის დეპარტამენტი
- საქართველოს მეან-გინეკოლოგთა ასოციაცია
- იან დონალდის სახელობის საერთაშორისო საუნივერსიტეტო სკოლა ულტრასონოგრაფიაში

**თანაორგანიზატორები:**

- საქართველოს მეცნიერთა და სპეციალისტთა ასოციაციის მედიცინის დეპარტამენტი
- საქართველოს პრენატალური მედიცინის და პერინატოლოგიის ასოციაცია
- საქართველოს ნაყოფის მედიცინის ფონდი

კონფერენციის პრეზიდენტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი -

**თენგიზ ასათიანი**

საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი -

**ალექსანდრე პაპიტაშვილი**

2017 წლის 25-26 ნოემბერი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

[www.medcongress.ge](http://www.medcongress.ge)

[www.goga.org.ge](http://www.goga.org.ge)

ძვირფასო კოლეგებო და მეგობრებო,

პირველად საქართველოში 2017 წლის 25-26 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული შენობის საკონფერენციო დარბაზში გაიმართება

*საქართველოს ექიმთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია:*

**“მედიცინის უახლესი მიღწევები და ტექნოლოგიები - მომავალი თაობების ჯანმრთელობისათვის”**

მნიშვნელობით და მონვეულ მომხსენებელთა რანგით კონფერენცია უპრეცედენტოა საქართველოს სინამდვილეში, ვინაიდან ერთად შეკრებს დიაგნოსტიკა-მკურნალობის დარგში, დედათა და ბავშვთა ჯანდაცვაში მომუშავე საუკეთესო ძალებს, მედიკოს-მეცნიერებსა და ცნობილ სპეციალისტებს.

მასთან ერთად ჩატარდება მსოფლიოში ყველაზე ცნობილი და საყოველთაოდ აღიარებული

იან ღონაღდის სახელობის საერთაშორისო საუნივერსიტეტო სკოლის მე-4 სკოლა-კონფერენცია ულტრაბგერით დიაგნოსტიკაში:

**"უახლესი მიღწევები სამეანო და გინეკოლოგიურ ულტრასონოგრაფიაში"**

მსოფლიოში ყველაზე მაღალკვალიფიციური სპეციალისტები წაიკითხავენ ლექციებს სამეანო და გინეკოლოგიურ ულტრასონოგრაფიის უახლეს მიღწევებზე, ჩაატარებენ ვორკშოპებს და მასტერკლასებს.

საქართველოს სპეციალისტები მიიღებენ თანამედროვე უახლეს ცოდნას და დაეუფლებიან სათანადო პრაქტიკულ ჩვევებს.

კონფერენცია გაგვაცნობს ახალ მიმართულებებს და ტექნოლოგიებს დედისა და ნაყოფის ჯანმრთელობის დაცვის დარგში, ამ სფეროში არსებულ ყველაზე აქტუალურ საკითხებს, მათ შორის პრეეკლამფიის ადრეულ სკრინინგსა და პროგნოზირებას, ორსულობის პირველი ტრიმესტრის სკრინინგს, პრენატალურ გენეტიკურ დიაგნოსტიკას, HELLP სინდრომს, ნეონატოლოგიის უახლეს მიღწევებს, ადამიანის რეპროდუქციის საკითხებს და სხვა მნიშვნელოვან თემებს.

სამეცნიერო პროგრამა შედგენილია საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული მოთხოვნების შესაბამისად და შეიცავს მოხსენებებსა და ლექციებს, რომლებსაც წაიკითხავენ საყოველთაოდ ცნობილი მეცნიერები და საერთაშორისო ექსპერტები.

ყველა ოფიციალურად რეგისტრირებული მონაწილე მიიღებს სათანადო ვეროსერტიფიკატს და მას მიენიჭება შესაბამისი ვეროკრედიტ-ქულები.

გვლით საქართველოს ექიმთა სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე:

**“მედიცინის უახლესი მიღწევები და ტექნოლოგიები-მომავალი თაობების ჯანმრთელობისთვის”.**

აქ თქვენ უდაოდ შეიძენთ ახალ ცოდნას და დაამყარებთ სასარგებლო კონტაქტებს კოლეგებთან, გაეცნობით უამრავ სიახლეს, ასევე ერთმანეთს გაუზიარებთ გამოცდილებას მედიცინის აღნიშნულ სფეროში, რასაც ნამდვილად წარმატებით გამოიყენებთ თქვენს ყოველდღიურ კლინიკურ პრაქტიკაში.

კონფერენციაში მონაწილეობენ კომპანიები, რომლებიც წარმოადგენენ ახალ სამედიცინო ტექნიკას, მედიკამენტებსა და სამედიცინო ლიტერატურას.

სპეციალურ სესიაზე წარმოდგენილი იქნება საქართველოს სპეციალისტთა მოხსენებები. **პრეზენტაციის გაკეთების მსულველებმა**, მოხსენებათა სათაურების ელექტრონული ვერსია უნდა გამოაგზავნონ **2017 წლის 20 ნოემბრამდე**, ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე: [ampsmpge@hotmail.com](mailto:ampsmpge@hotmail.com)

საორგანიზაციო კომიტეტის სამეცნიერო განყოფილება შეათვასებს მოხსენების (პრეზენტაციის) პროგრამასთან და არსებულ მოთხოვნებთან შესაბამისობას და შინაარსის შეუცვლელად შერჩეულ მოხსენებებს შეიტანს პროგრამაში.

მოხსენებათა სარეგისტრაციო ფორმა - [იხილეთ აქ!](#)  
მონაწილეთა განაცხადის ფორმა - [იხილეთ აქ!](#)  
განაცხადის ფორმა სტუდენტებისთვის - [იხილეთ აქ!](#)

წინასწარი რეგისტრაცია შესაძლებელია **2017 წლის 22 ნოემბრამდე** საბანკო გადარიცხვის გზით შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე:

„საქართველოს ბანკი“, BAGAGE22,

სალარე ანგარიშის ნომერი: GE69BG000000546144100 GEL

მიმღები – რ/კ “საქართველოს პრენატალური მედიცინის და პერინატოლოგიის ასოციაცია”,

საიდენტიფიკაციო კოდი – 202215673

კონფერენციის ჩატარების ადგილას რეგისტრაცია იწარმოებს 2017 წლის 25 ნოემბერს 11:00 საათიდან და 26 ნოემბერს 10:00 საათიდან.

**სარეგისტრაციო-საწევრო გადასახადი:**

ექიმები, მეცნიერ მუშაკები, საშუალო სამედიცინო პერსონალი	წინასწარი რეგისტრაციის შემთხვევაში - <b>85 ლარი</b> კონფერენციის დროს ადგილზე - <b>105 ლარი</b>
სტუდენტები, რეზიდენტები	სარეგისტრაციო-საწევრო გადასახადს არ იხდიან

დამატებითი ინფორმაციისთვის, ტელეფონით შეგიძლიათ მიმართოთ წინასწარი რეგისტრაციის სამსახურის ხელმძღვანელს, **მიხილლ ხოშტარას**, მობ.: 555 404 731 ან ტელ.: 299 56 65 ყოველდღე 15.00–23.00 სთ.

კონფერენციასთან თანამშრომლობის მსურველი კომპანიებისა და ფირმებისთვის დამატებითი ინფორმაცია მოცემულია მათთვის განკუთვნილ სპეციალურ წერილში – [იხილეთ აქ!](#)

- *საინფორმაციო მონაცემებში შეიძლება შეტანილ იქნას უმნიშვნელო ცვლილებები და დამატებები.*
- *გთხოვთ, დროულად დარეგისტრირდეთ და შესაძლო ცვლილებების სანახავად რეგულარულად ეწვიოთ საიტს [www.medcongress.ge](http://www.medcongress.ge)*

დიდი მადლობა მონაწილეობისთვის.

პატივისცემით

**საორგანიზაციო კომიტეტი**